წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. პარასკევი, 11 ნოემბერი

# სამშობლო

ფასი 5 კ.

გაზეთის ფასი: წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილად.

განცხადების ფასი: [illegible] 30 კაპ., [illegible] 20 კაპ. [illegible] 2 [illegible] 5 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., ქნ. მიქელაძის სახლში

№ 482 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 482

ეროვნული ბიბლიოთეკა

7 ნოემბერს დაბა ყვირილაში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დეკანოზ დავით ლამბაშიძის ქვრივი

**ოლღა ნიკოლოზის ასული ლამბაშიძისა,**

რასაც უგულითადესის მწუხარებით და გლოვით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის, შვილები: ქსენოფონტე, ვახტანგ, მიხეილ და დავით, რძლები: პელაგია და ვანდა და შვილიშვილები. პანაშვიდი ყოველ დღეს საღამოს 7 საათზე. გამოსვენება საკ. სახლიდგან წმ. დავით და კონსტანტინეს ეკლესიაზედ კვირას 13 ნოემბერს $9^{1}/_{2}$ საათზედ. დაკრძალვა იმავე დღეს 3 საათზედ წმ. ნინოს სასაფლაოზედ.

ქვრივი ქრისტინე იესეს ასული ლუკიანოვისა შვილებითურთ აუწყებენ ნათესავებსა და მეგობრებს, რომ ხვალ შაბათს 12 ნოემბერს დილის 10 საათზე ბაგრატის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის

**დავით სიმონის ძე ლუკიანოვის**

სულის მოსახსენებლად.

ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ხუთშაბათიდან, 10 ნოემბრიდან 1916 წ. ახალი პროგრამა:

მიმდინარე ამბები ქ რ ო ნ ი კ ა გ ო მ ო ნ ი მიმდინარე ამბები

**წარსულის აჩრდილი!**

(ბრაგის სერენადა). დრამა 4 ნაწ. პანოვისა, რიმსკისა, ლისენკოსა და ორლოვას მონაწილეობით.

**უნდა დავქორწინდე**

სახუმარო ფერადებით, პრენსის მონაწილეობით.

ა ნ ო ნ ს ი: ორშაბათიდან, 14 ნოემბრიდან

**რუსის ჯარი საფრანგეთში** სამხედრო სურათი ნამდვილიდან.

**ბედნიერება კი შესაძლებელი იყო**

დრამა 5 ნაწილად, ლისენკოს, მოზჟუხინისა და პანოვის მონაწილეობით.

**დაიბეჭდა** ბ. დ. უზნაძის მიერ შედგენილი წიგნი: „მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო" პირველი ნაწილი ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა. გამოცემა თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიისა, ფასი წიგნისა 6 აბაზი.

იბეჭდება და მალე გამოვა ბ. ს. გორგაძის მიერ შედგენილი ქრისტომატია „ჩვენი ახალი მწერლობა" და ბ. კ. ყიფიანის მიერ შედგენილი ალგებრა ქართულ ენაზე.

**ექიმმა** ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. ყ.

**ექიმი** ი. ჩარიძოვი ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606" და „914") დილით $12^{1}/_{2}$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი. ლვოვსკის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

დოქტორი მედიცინისა

**დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი.**

ღებულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე. გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი.

10—4 დღ. გამ.

მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი

**მარიამ ტ. გალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს. ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან ვცხო ვგავილისაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ასალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვივდება და იღებს საუცხოვო ფერსა და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური მისამართი: დადიანის შესახვევი, გ კოსტავას სახლები. № 37

304—1—თვით

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე ზოძიელი დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის, ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

ელექტრო „ამპირ" თეატრი

ხუთშაბათიდან, 10 ნოემბრიდან 1916 წ. დიდი მხატვრული სურათი

**ფ ა ს ი**

დრამატიული პიესა 6 ნაწილად. კ. კრაშენინიკოვის სცენარიის მიხედვით. მთავარ როლს მოსკ. სამხატვრო თეატრის მსახიობი ქალი ო. გზოვსკაია ასრულებს.

მიმდინარე ამბები ქ რ ო ნ ი კ ა გ ო მ ო ნ ი მიმდინარე ამბები

ა ნ ო ნ ს ი: ხუთშაბათიდან, 14 ნოემბრიდან:

ქ რ ო ნ ი კ ა გ ო მ ო ნ ი მიმდინარე ამბები.

**სისხლის მსმელი** (თავი) ვჰენად და მერსის რომანის პირველი სერია.

სახუმარო. **რ ო მ ე ლ ი!?** სახუმარო.

## ს ა ხ ა ლ ხ ო წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა

ქუთაისის ქალაქის თ ე ა ტ რ ი წარმ. № 18.

შ ა ბ ა თ ი, 12 ნ ო ე მ ბ ე რ ი 1916 წ.

დ. ჭ ა ნ ტ უ რ ი შ ვ ი ლ ი:

**მ ო რ ე ვ ე ში**

დრამა 3 მოქმ.

მონაწილენი: ქ-ნი ბექანიშვილი ს., მდივანი მ., ლოლობერიძე ო., ჩხეიძე ან. ბ-ნი იმედაშვილი ალ., კორიშელი პლ., მურუსიძე ან., სარელი ვლ.,

რეჟისორი ალ. იმედაშვილი, თანაშ. ა. გუგუშვილი. ადგილების ფასი სახალხოა

მორიგე წევრი გამგეობისა გ. ლადიძე

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგად. გამგეობისა დასაწყისი საღამოს 8 საათზე

მოქმედების დროს დარბაზში შესვლა არ შეიძლება

ქუთაისის ქალაქის თ ე ა ტ რ ი წარმ. № 19.

კ ვ ი რ ა, 13 ნ ო ე მ ბ ე რ ი 1916 წ.

შ ი ლ ლ ე რ ი:

**ყ ა ჩ ა ღ ე ბ ი**

დრ. 5 მ. თარგმ. ნ. ავალიანისა.

მონაწილენი: ქ-ნი მდივანი მ.

ბ-ნი გელოვანი მ., გომელაური ზ., იმედაშვილი ალ., კორიშელი პლ., მურუსიძე ან., სარელი ვლ. ყალაბეგიშვილი ალ., ჩხიკვაძე ვ., ხარკვიანი გ.

რეჟისორი ალ. იმედაშვილი. თანაშ. ალ. გუგუშვილი ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მორიგე წევრი გამგეობისა ე. მეფისაშვილის ასული

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგად. გამგეობისა დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან)

### უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისაგან.

9 ნოემბერი.

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზზე მთელი ბრძოლის ხაზზე ზარბაზნებისა და თოფების სროლაა, უფრო ძლიერი სროლა სწარმოებს მდ. სტოხოდზე, პატარა პორსკის მიდამოებში. მოპირდაპირემ მძიმე და მსუბუქი ზარბაზნები დაუშინა გარბუზოვკა გუკალოვცეს მიდამოებში, ნოვოალექსინცის დასავლეთით. ტყიან კარპატებში პნევნის მთის ჩრდილოეთით 5 ვერსზე მოპირდაპირემ შემოგვიტია, მაგრამ მოვიგერიერ.

**კავკასიის ასპარეზზე**

არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

**რუმინეთი** ტრანსილვანია. მდ. ალიუტას ველში მოპირდაპირე წინანდელის ძალით განაგრძობდა იერიშებს. მტრის მედგარი ზედმიწოლით რუმინელები ნელ-ნელა ბრძოლით იხევენ სამხრეთისაკენ. მდ. ჟიუს ველში მოპირდაპირე ძლიერის ჯარით აწვება რუმინელებს აქ რუმინელებმა ფრიაშტის სადგურის მიდამოებისაკენ დაიხიეს.

დობრუჯაში ცვლილება არ მომხდარა.

**პეტროგრადი.** პეტროგრადის ქალაქის უფროსი გენერალ მაიორი თ-დი ობოლენსკი თანამდებობიდან გადააყენეს და მისი უმაღლესობის ამალაში ჩარიცხეს.

**პარიზი.** საღამოს ოფიც. ცნობა. სომმას ჩრდილოეთით, დუომონის მიდამოებში, საკმაოდ ძლიერი სროლა იყო ზარბაზნებისა.

**ლონდონი.** საღამოს ოფიც. ცნობა. საფრანგეთის ასპარეზზე ანკრისა და სომას მიდამოებში გერმანელებმა ზარბაზნები დაუშინეს ბომონ გამელს და გეენკურის არემარეს.

**რომი.** 5 ნოემბერი. მოპირდაპირემ, ზარბაზნების ძლიერი სროლის შემდეგ, კარსოზე იერიში მოიტანა მაღლობზე „126", ვოლოვნიაკის ჩრდილოეთით. ცხარე და გაფთრებულ ბრძოლის შემდეგ მოპირდაპირემ შესძლო ჩვენი სანგრების აღება.

**სოლუნი.** სერბიელების მთავარ-ბანაკის ცნობა მდ. ცრნის მიდამოებში კიდევ გავიმარჯვეთ. მტერი უწესრიგოდ იხევს პრილეპისაკენ. ავიღეთ სოფლები: გრუნისტო, ბრანიკი, იარალი, მაღლობი „1372"; ხელთ ვიგდეთ ბევრი ტყვე და დიდი დავლა. მონასტირში დიდი ცეცხლია ისმის ძლიერი აფეთქების ხმა. დღეს მოკავშირეთა ჯარი მონასტირში შევიდა.

ჩვენ მეორე ცხენოსანთა პოლკი მდ. ცრნის გაღმა გავიდა და ცურვით მიაღწია მონასტირს აღმოსავლეთის მხრიდან, ხოლო მოკავშირენი სამხრეთიდან მოადგნენ. მოსახლეობა აღფრთოვანებით და ყვავილებით შეეგება გამანთავისუფლებელთ. ქალაქი არ დაზიანებულა. მოკავშირეთა ჯარმა მონასტირის ჩრდილოეთით წაიწია.

**სტოკჰოლმი.** ჰამბურგს მიმავალი ხეტყით დატვირთული გერმანელების გემი „ისტადი" ი. ზანდჰამერენის სამხრეთით 6 ვერსზე აფეთქდა და დაიძირა. გემზე გამსკდარიყო ქვაბი. დაიღუპა გემის უფროსი და ექვსი მეზღვაური.

**სტოკჰოლმი.** ქრისტიანიიდან იტყობინებიან: წყალ-ქვეშამ დაღუპა ნორვეგიის გემი „იოაჰიმ ბრინშლუნდ" ი, უსანის კუნძულის ჩრდილო აღმოსავლეთით 160 ვერსზე. დაიღუპა გემის უფროსი, ხოლო მეზღვაურთაგან 6 კაცი. გემი დაზღვეული იყო 1300,000 კრონად.

**სტოკჰოლმი.** ლანდტაგში პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა: დღევანდელს ომში გერმანეთისა და პოლონეთის ინტერესები საზიარო გამოდგა. ასევე უნდა იყოს მერმისაშიაც. პრუსიის სახელმწიფოსათვის აღმოსავლეთით მდებარე მომიჯნავე ყოველი მტკაველი მიწასა წმინდათა წმინდაა, სხვაფრივ ვერ იფიქრებს ვერც ერთი პრუსიელი. პრუსიის სახელმწიფო ერთგულად შერჩა თავის ეროვნულს მიზნებს პრუსიის მოქალაქეთა წინაშე მოვალეობისამოხდაში. გერმანელებმა ამ ომიანობაში შეიგნეს ერთმანეთი და უფრო უნდა დაახლოვდნენ აღმოსავლეთისაკენ პოლონეთის ეროვნულ სამეფოს აღდგენის მერე. ომის შემდეგ უნდა გადასინჯოს ადმინისტრატიული წყობილება პრუსიის ქვეშევრდომ პოლონელთა შესახებ.

**პარიზი.** დღის ოფიც. ცნობა. მთელ ღამეს ზარბაზნების ძლიერი სროლა არ დამცხრალა საიზელის კალთებსა და დუომონთან.

მახლობელ აღმოსავლეთის ასპარეზი. მონასტირის ჩრდილოეთით მოკავშირეთა ჯარი მედგრად აწვება მტრის უკან დახეულ ზურგის ჯარს, რომელიც ძლიერ არტილერიაზ მოკლებულია.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

— პეტროგრადში ცნობა მიუღიათ, რომ ავსტრიის მეფე ფრანც იოსები გარდაცვლილა.

— პოლონეთიდან გერმანელების მიერ ჯარის გაყვანის გამო ვარშავაში მღელვარება ყოფილა სოციალისტებს მიტინგზე დაუდგენიათ, მხოლოდ სეიმის გახსნის შემდეგ მისცენ ჯარი გერმანიას.

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** თოფისა და ზარბაზნების სროლაა. მდ. სტოხოდზე მოწინააღმდეგის არტილერიამ რამდენიმე ჩვენ სოფლებს მძლავრი სროლა აუტეხა. ტყიან კარპატებში პნევის მთის ჩრდილოეთით გერმანელებმა წინ სვლა იწყეს. მაგრამ რუსებმა შეაჩერეს.

**კავკასიის ასპარეზი.** თვალსაჩინო არაფერი მომხდარა,

**დასავლეთის ასპარეზი.** ანკრსა და სომმაზე გერმანელებმა რამონჰამელისა და გედეკურის მიდამოებს ყუმბარები დაუშინეს საიზელთან არტილერიის ძლიერი სროლა სწარმოებდა, დოუმონთან საარტილერიო ბრძოლა მოხდა. დანარჩენ ასპარეზზე ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა.

**იტალიის ასპარეზი.** ჩვეულებრივი ბრძოლებია.

**რუმინიის ასპარეზი.** ტრანსილვანიაში ოლიტას ველით ავსტრო-გერმანელები კვლავინდებურად მძლავრ შეტევას განაგრძობენ; რუმინელები უკან იხევენ. მდ. ჟიუს ველზე რუმინელებმა ფირიაშტამდე უკან დაიხიეს. სამხრეთ ბრძოლის პირზე მდგომარეობა უცვლელია.

**მაკედონიის ასპარეზი.** სერბიელები თავიანთ წინ-სვლას განაგრძობენ. ბულგარლები უწესრიგოდ პრილეპისაკენ უკან იხევენ. მონასტირში ცეცხლი გაჩენილა და აფეთქების ხმა ისმის. სერბიელებმა რამდენიმე სოფელი კიდევ აიღეს. ბულგარლებს ბოლო ხანს მაშველი ჯარი მოსვლია და აქტივობას იჩენს.

— გერმანიის დიდ ქალაქებში, რუსული გაზეთების ცნობით ხალხს მანიფესტაციები გაუმართავს, რომელზედაც ზავი მოუთხოვიათ.

— სტოკჰოლმიდან მოსულ ცნობების მიხედვით შვეციის ყველა პარტიები შეერთებულან და ჩეხიისათვის ავტონომია მოუთხოვიათ.

— ჰენ. სენკევიჩს სიკვდილის წინ თავის შვილისთვის უთქვამს: „ცუდ დროს ვკვდები, თავისუფალ პოლონეთს ვერ ვიხილავო.

— თანახმად ინგლისის საზღვაო სააღმაშენებლო პროგრამისა 6 თვის განმავლობაში ინგლისის საამირბაროს 6 მილიონ ტონნის წყალ-წყვის ახალი სამხედრო გემები უნდა ჩაიბაროს.

— გერმანელები თან და თან უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ ჰაერში ბრძოლას. ეხლა უკვე განსაკუთრებით ჰაერის ძალების სამინისტროც დაარსეს გამგედ მარქაფა ჯარის უფროსი გენერალი დაუნიშნავთ.

— მაკედონიის ასპარეზზე ბულგარელთა უკან დახევას გერმანიის მთავარი შტაბი არ მალავს. იგი ოფიციალურ ცნობაში ამბობს, ბულგარელები ფრანგების ხშირ იერიშებს ვერ უძლებენ და უკან იხევენო.

— გერმანელები გალიციაში პოლონელ მოხელეების მაგივრად გერმანელებს ნიშნავენ.

— ხმები გენ. როკისა და მეფე კონსტანტინეს თათბირის გადამწყვეტი მნიშვნელობის შესახებ გამართლდა როგორც სალონიკიდან იტყობინებიან საბერძნეთის მთავრობამ მთელი თავისი არტილერია და 60000 თოფი მოკავშირეებს უნდა გადასცეს, ხოლო უკანასკნელნი ამ იარაღს ნაციონალურ თავდაცვის კომიტეტის მეთაურის ვენიზელოსს მისცემენ.

— ბულგარეთმა დობრუჯა უკვე ოფიციალურად გამოაცხადა შემოერთებულად. სამაგიეროდ ოსმალეთს მის სასარგებლოდ თრაკიაში საზღვრების შესწორებას დაჰპირებია.

— პოლონეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებას რეიხსტაგის და პრუსიის ლანდტაგის დეპუტატები გულგრილად შეხვედრიან. პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრს ფონ ლებელს უთქვამს მთავრობის პოლიტიკა პოლონეთის საკითხში თავდაპირველად პოლონელებზეა დამოკიდებული და როგორც ისინი მოიქცევიან, ისე მოვიქცევით ჩვენცა, არაფერს დავიშურებთ მათთვის, თუ ისინი ერთგულად მოგვეპყრობიანო.

— გაზ. „მორნინგ პოსტის“ ცნობით გერმანელებს იმდენად გაუმაგრებიათ პოზიციები გალიციაში და შუკოვინაში, რომ ისინი პირდაპირ მიუვალ ციხეებათ გადაუქცევიათ.

— იტალიურ „სეკოლოს“ სიტყვით ამას წინად გერმანელებს განზრახ გაუვრცელებიათ ხმა, რომ მათი არტილერია ძალიან შესუსტდა და ამის მიზეზად იმას ასახელებდნენ, ვითომც ზარბაზნების და ყუმბარების დამზადება ხარჯს ვერ აუდის; ნამდვილად კი საქმის მდგომარეობა სულ სხვანაირათ ყოფილა; პირ იქით გენ. ჰინდენბურგის ბრძანებით არტილერიის საქმეში ძირითადი რეორგანიზაცია მოუხდენიათ, რის წყალობითაც არტილერიის მხრით გერმანელები უფრო გაძლიერებულან.

— რადგანაც გერმანელებს ძალით გაჰყავთ ბელგიელები სახელმწიფო თავდაცვაზე სამუშაოდ, ბელგიელები 200—300 ით მდ. შელდით ჰოლანდიაში იპარებიან. ღამ-ღამე, თურმე ყელამდის წყალში ფეხდაფეხ გადიან. ამის გამო გერმანიის მთავრობამ ტყვიის მფრქვეველებით შეიარაღებული ნავები გაუშვა შელდაზე და ბელგიიდან გაქცეულებს უმოწყალოდ ხოცვენ.

— პეტროგრადში ცნობა მიუღიათ, რომ გერმანული წყალქვეშა „უ 53“, რომელმაც ამერიკის სანაპიროებთან ბევრი გემი ჩაღუპა, მოკავშირეთა გემებს რკინის უზარმაზარი ბადეებით დაუჭერიათ

— „რუს. ვედ.“ ატყობინებენ პარიზიდან: ფრანგული გაზეთები რუმინიის მდგომარეობას კრიტიკულად სთვლიან, რადგანაც გენ. ფალკენ ჰაინის ჯარი შემოსვლას განაგრძობს. გაზეთების აზრით გერმანელებს სწადიათ კრაიოვას მიაღწიონ და შემდეგ მაკენზენს შეუერთდნენ. „ეხოდე პარიის“ აზრით რუსებს დიდი ძალი ჯარი გაუგზავნიათ რუმინიაში და ამიტომ მოსალოდნელია რუმინია ხიფათს გადარჩესო.

— გერმანელებს პოლონეთიდან ჯარის გაყვანა უკვე დაუწყიათ და ჯერ-ჯერობით არავითარ ექსცესებს და უკმაყოფილებას ადგილი არა აქვს.

— ბოლო დროს რიგის ბრძოლის პირს გერმანელები დიდ ყურადღებას აქცევენ. ხან ერთსა და ხან მეორე ალაგას მძიმე ზარბაზნებს უშენენ. ასე მაგალითად სად. ო.—ს. ჩრდილოეთით 22 ოქტომბერს 500 დიდი ზომის ყუმბარა ისროლეს.

— ბუქარესტს კიდევ დასხმიან თავს გერმანელთა საფრენები. 1 ნოემბერს გერმანელთა 8 საფრენ ქალაქის შუა გულში 25 ყუმბარა ჩამოუგდია

— მცირე ხნის სიმშვიდის შემდეგ გერმანელთა წყალქვეშები კვლავ ამოქმედებულან. მათ ნორვეგიის წყალქვეშები და 6 სავაჭრო გემი დაუღუპავთ.

## გერმანია და მოკავშირენი.

გერმანიაში საყოველთაო შრომის ბეგარა შემოიღეს. ამის გამო გერმანული გაზეთები დიდად აღფრთოვანებულნი არიან, ხოლო მოკავშირენი აღნიშნავენ: ამ საშუალებას გერმანიამ მიტომ მიჰმართა, რომ მას მუშა ხელი არ ჰყოფნის, რომელმაც უნდა საომარი მასალა დაამზადოსო. მუშა ხელი მოკავშირეებს მოჭარბებულიც ჰყავსთ, რასაც თვით გერმანელები აღნიშნავენო. „ბერლინერ ტაგებლატი“ სწერს: სიმამაცე გერმანიის ლაშქრის განუსაზღვრელია, მაგრამ მოწინააღმდეგენი სიყოჩაღეს იჩენენ მასალის მოწოდებით. ეს ეთი გარემოება კი ვალად გვადებს, ყოველი ჩვენგანი მიეშველოს მუნდირიან გერმანელსაო.

სამხედრო ბიუროს უფროსი გენერალი გრენერი ამბობს: არსებობისთვის ბრძოლაში ყველანი ერთს საქმიან ფირმაში უნდა ჩავებათ და ყველანი უნდა ამუშავდნენ 16 წლიდან დაწყებული, ვიდრე 60 წლამდე. მიზანი ამ დიდ ორგანიზაციისა ის გახლავთ, რომ თანაბარი და შეწყობილი შრომა სწარმოებდეს საომარსა და შინ სამუშაო ფრონტზეო.

გერმანიის ასეთს დაწყებას საფრანგეთის იტალიის და სხვა მებრძოლ სახელმწიფოთა გაზეთები აღნიშნავენ და დასძენენ ასეთი პროექტი იმის მოასწავებელია, რომ გერმანიას დიდი ნება შესწევს ბრძოლა ყოველგვარ საშუალებით გამარჯვებით დაათავოს. ამიტომ, ჩვენი მხრითაც საჭიროა, რომ ასეთივე ორგანიზაციები შემოვიღოთო. საჭიროა დიდი მეცადინეობა რომ მოწინააღმდეგეს რაიმე დავათმობინოთო. ერთი იტალიური გაზეთი აღნიშნავს: საგულისხმოა, ვიცოდეთ, როცა გერმანია ასეთს ორგანიზაციებს აწყობს, მოკავშირენი რას ფიქრობს, ან რას აკეთებენო! „საქ“.

## რუსული პრესა.

როგორც უკვე ვსწყით სათათბიროს პირველ სხდომაზე როძიანკოს სიტყვის შემდეგ პრემიერ მინისტრმა შტიურმერმა დარბაზი დასტოვა; ამის შესახებ „პრავიტ. ვესტ“ სწერს:

მოისმინა რა სათათბიროს თავმჯდომარის როძიანკოს სიტყვა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, ჰოფმეისტერ შტიურმერმა სხდომა დასტოვა, რადგანაც შეუძლოდ იყო, იმ დღეს პირველად გამოვიდა სახლიდან და ავადმყოფობისთვის ჯერ თავი ვერ დაეღწია.

— —

გაზ. „დენს“ მოყავს შინაგან საქმეთა მინისტრად ნამყოფ ა. ნ. ხვოსტოვის სიტყვები მთავრობის ეხლანდელ შინაგან პოლიტიკის შესახებ თქმული; ხვოსტოვს დეპუტატებისთვის უთქვამს:

„ბ—ბო, გარწმუნებთ, რომ პიროვნებას მნიშვნელობა არა აქვს [illegible] ფება ამ ჟამად ამა თუ იმ თანამდებობაზე ის სავარძელი, რომელზედაც მე ვიჯექი ეხლა მემარცხენე ოქტომბრისტთა წარმომადგენელს პროტოპოპოვს უჭირავს და აბა, ერთი სინიდის ქვეშ მითხარით, შეიცვალა რამე; გრძნობს განა სათათბირო ნადეპუტატარ მინისტრის სიახლოვეს.

„ჩემ შემდგომ თუ გინდა ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო“, რომ იტყვიან სწორედ ეს არის. რისთვის დასჭირდა ნადეპუტატარ-ნამინისტრალ დეპუტატ ა. ნ. ხვოსტოვს ეს „მხილება“!?

— —

„პროგრესიული ბლოკი“, რომ სათათბიროს დღე ნაკლული შვილი იყო—ეს ყველამ იცის და ცნობილია ისიც, რომ მისი მუშაობაც უფერული გამოდგა. მაგრამ სათათბიროს ეხლანდელმა სესიამ სულ დაუკარგა ფერი ამ „პარტიათა კოალიციას“. საქმე იმაშია, რომ ბლოკელმა კრუპენსკიმ სათათბიროს გახსნამდე მთავრობის წარმომადგენლებს, რასაკვირველია ჩუმად, გააცნო პროგრ. ბლოკის დეკლარაციის შინაარსი. მთავრობამ „ისეთი“ არაფერი დაინახა ამ დეკლარაციაში, და პირველ სხდომაზე გაგზავნა თავის წარმომადგენლები.

შავრაზმელთა „ზემშჩინა“ ამის შესახებ ირონიით სწერს:

„ბლოკი თავის დეკლარაციას ფარულად ადგენდა. ბლოკის წევრებს, ალბად, უნდოდათ სათათბიროს გახსნაზე მიეტყუებიათ და შემდეგ იქ მის მიმართ თავხედური სიტყვები წარმოეთქვათ, რის შემდეგაც ან სათათბირო უნდა დაეთხოვნათ ან და მთავრობა უნდა გადამდგარიყო“.

ეხლა მთავრობაც და ბლოკიც, ალბად, კმაყოფილნი არიან, რომ „კონფლიქტი“ მათ შორის არ მოხდა და მტრის თვალების დასათხრელად შინაური „მყუდროება“ არ დაირღვა.

— —

შტიურმერის ტაქტიკას დამორჩილებულმა როძიანკომ ხალხის საუკეთესო წარმომადგენელთა სიტყვები სახელმწიფოს აწეწილ-დაწეწილ შინაურ ცხოვრების შესახებ არ გაუშვა და მით ხალხს მოუსპო საშუალება საქმით თუ არა, სიტყვით მაინც ეგრძნო, რომ მასზე კიდევ ზრუნავს ვინმე, მაგრამ „პარლამენტარისტი“ როძიანკო იმ აზრით ხელმძღვანელობს „არც მეტის მეტი ცოდნაა კარგი და იმას, რაც მხოლოდ ოლიმპიელებმა იციან უბრალო მომაკვდავი ვერ გაიგებს“ ან და უბრალოდ ისე ვერ გაიგებს.

გაზეთები აგვიწერენ იმ შთაბეჭდილებას, რომელიც დაკავებულ სიტყვებმა მოა-

## დაფნისი და ქლოია

### ანტიური მოთხრობა ლონგუსისა.

13. ხუნტრუცით და ბლავილით დაუჩოქებდნენ ბატკნები დედებს და უცარიელებდნენ სავსე ჯიქანს. ბერწი ცხვრებს არ ასვენებდნენ ყოჩები (ქედლები), ხან ერთს გამოეკიდებოდნენ და ხან მეორეს. ახურებული ვაცი როგორც უფრო ფიცხი, დახტუნავდა თხებთან და ექვიანობდა. თითოეულ ვაცს ამორჩეული ჰყავდა საცოლე-თხა და მეტოქესაგან იცავდა, მფარველობდა. ასეთი სანახაობა მოხუცთაც კი გაუღვიძებდა სიყვარულის ჟინს, და რა გასაკვირალია, რომ ახალგაზრდა, სისხლით და ხორცით სავსე დაფნისი და ქლოიაც აჰყოლოდნენ ვნების სურვილებს. რაღაცას ეძიებდნენ, დნებოდნენ, ხვევნა კოცნასა და ტრფიალზე მეტი სხვა რაღაც სურდათ. ცეცხლის ალივით უვლიდა მათ ტანში, რაც ენახათ და გაეგონათ. უმთავრესად დაფნისზე მოქმედებდა ძლიერად, რომელიც დაჭაბუკდა იმ ზამთარს და დაისვენა,—ჰკოცნიდა გახელებული და უფრო გათამამებული იხუტებდა მკერდში.

14. ნებართვას სთხოვდა ქლოიას ისე მოჰყრობოდა, როგორც მას მოესურვებოდა,—უფრო დიდხანს წოლილიყვნენ ხოლმე შიშვლები, ვიდრე მანამდე.

— ეს ხომ ერთი უმთავრესი დარიგებათაგანია ფილეტასის,—არწმუნებდა დაფნისი,—რომელიც აქამდე არ მოგვიყვანია სისრულეში, ერთად—ერთი წამალი სიყვარულისა!

და, როდესაც ჰკითხავდა ქლოია, სხვა რაღა უნდა იყოს კოცნას, ხვევნა-ალერსსა და ერთად წოლაზე უკეთესი და რა სურს, როდესაც ერთად იწოლილებიან, დაფნისი მიუგებდა:

ის, რასაც ყოჩები სჩადიან ცხვრებთან და ვაცი თხასთან. უყურებ, როგორ დამშვიდდებიან ხოლმე და აღარ გაურბიან შეყვარებულს და აღარც სდევნიან. წყნარად სძოვენ, თითქო საერთო სინაზით სტკბებიანო. ეტყობა ისეთ სიტკბოებას გრძნობენ, რომ სიყვარულის ნაღველს ამარცხებს და ანელებს მთლიანად.

— და მერე ვერ ხედავ. რას სჩადიან თხანი და ცხვარნი?... და შენ გინდა ჩვენც ისევე შიშველნი ვიწვნეთ ერთად: აბა შეხედე იმათი მატყლი რამდენად სქელია ჩვენს სამოსზე. .

დაფნისმა დაუჯერა, მოუწვა გვერდზე და მაგრად ჩაიხუტა გულში მაგრამ მან სწორედ ის არ იცოდა, რაცა სწყუროდა, რის გამო მიწაზე წამოჯდა და ტირილი მორთო, რომ მაზე ბევრად მეტი თხებმა იციან სიყვარულის ასავალ-დასავალი.

15. იქვე მეზობლად ერთი ხანში შესული მიწის მუშა სცხოვრობდა, სახელად ხრო მისი. მასთან ერთი ქალაქელი გასათხოვარი ბინადრობდა, მოხდენილი ლამაზი, გამბედავი და უფრო ნაზი და წერწეტი, ვიდრე სოფლის ქალწულნი. სახელად ლიკენიონი ერქვა. ყოველ დილას მის ფანჯარასთან უნდა გაევლო დაფნისს მისი თხებით და იმავე გზით ბრუნდებოდა ხოლმე საღამოთი. ამ ქალმა საჩუქრებით მოისურვა დაფნისის გადმოპირება და უნდოდა თავისი საყვარელი გაეხადა. ერთხელ დაუდარაჯდა და, როდესაც პირისპირ დარჩნენ სალამური შესთავაზა ლიკენიონმა, თაფლის პურები და ირმის ტყავის სანადირო ჩანთა, თქმით კი ვერაფერი გაუბედა,—ექვი ჰქონდა აღებული, რომ ქლოია უყვარდა მას და იქიდან გამოიყვანა ასეთი დასკვნა, რომ ყოველთვის სიფრთხილით ეპყრობოდა დაფნისი, სულ სხვაგვარად გადახედავდნენ ხოლმე ერთმანეთს და სახეზეც სინათლე გადაჰკრავდათ ხოლმე. ერთ დღეს ვითომდა მეზობელ მელოგინე ქალის წაიდა სანახავად სახლიდან; დილიდანვე დაედევნა დაფნისსა და ქლოიას, ბუჩქნარში ჩაიმალა და თვალყურს ადევნე და ორივეს, დაწვრილებით გაიგონა მათი ნალაპარაკევი და საკუთარი თვალებით იხილა მათი ჩანადენი. შეუმჩნეველი არ დარჩენია არც დაფნისის ცრემლები. შეეცოდა საბრალო ბავშვები და იფიქრა, რომ თვით ღმერთები სწყალობენ მას და ხელს უწყობენ მათი სასიამოვნო საქმე ჩაიდინოს—დაეხმაროს და ასწავლოს სურვილების დაკმაყოფილება; ამისათვის შემდეგ ხერხს მიმართა.

16. მეორე დილას კიდევ გაჰქუსლა სახლიდან ლიკენიონმა იმავე მიზეზით და პირდაპირ იმ მუხისაკენ წავიდა, სადაც დაფნისი და ქლოია ეგულებოდა. ვითომ და დიდი უბედურება რამ დასტეხია თავსო, მორთო გამწარებული კივილი:

— მომ ხმარე, დაფნის, უბედურება მეწვია! საუკეთესო ბატი მომტაცა არწივმა. ძლიერ დიდი იყო ბატი, ბუდეში ვეღარ აიტანა, მთის მწვერვალზე და აი იქ ღელეში ჩაფრინდა. წმერთა პანს და ფერიათ გაფიცებ, წამომყე ტყეში. და იხსენ ბატი, მარტო მეშინიან! იქნება არწივი მოჰკლა და თქვენც მოისვენებთ მისგან, აღარც თქვენ ბატკნებს დაუშავდებათ რამე. არაფერია, მანამდე ქლოია მოუვლის თხებს: მასაც ხომ ისევე უჯერიან შენი თხები, როგორც შენ თვითონ, თქვენ ყოველთვის ერთადა ხართ.

17. გულუბრყვილო და გამოუცდელმა დაფნისმა სრულ ჭეშმარიტებად მიიღო ლიკენიონის ნათქვამი, კომბალს დაავლო ხელი და დაედევნა. როდესაც კარგა დიდ მანძილზე მოშორდენ ქლოიას ლელის პირად ჩამოჯდა ლიკენიონი უღრან ტყეში.

— დაფნის,—მიმართა მან,—ქლოია გიყვარს ფერიათ გადმომცეს სიზმარში; ისიც კი მითხრეს, თუ როგორ სტიროდი გუშინ და მიბრძანეს დაგეხმარო, გამოგწვრთნა სიყვარულის ხელოვნებაში. მაშ იცოდე, რომ ხვევნა ალერსზე უტკბესი კიდევ არის რომ, რასაც შენ ცხვრებასაც ამჩნევდი: არსებობს სულ სხვაგვარი ალერსი, რომელიც არ იცი შენ. ნეტარებით სავსე იქნება შენი აღფრთოვანება მაშ, თუ სურვილი გაქვს დასტკბე და ინუგეშო თავი, მოიკლა წყურვილი შენი ნდომისა, დამნებდი ჩემო ნაზო და საყვარელო შევირდო: ფერიათა მადლობის აღსანიშნავად ყველაფერს შეგასწავლი.

18 სიხარულით ველარ შეიკავა თავი დაფნისმა; გულუბრყვილო გამოუცდელი უმანკო მწყემსი, მასთან სისხლით სავსე ჭაბუკი და შეყვარებული მუხლებზე დაეცა ლიკონიონის წინაშე და ემუდარებოდა, ეხვეწებოდა, რომ, რაც შეიძლება, ჩქარა ესწავლებინა სიყვარულის ხელოვნება, რომ მას თავისი მხრით ქლოიასთვის გადაეცა. და ვითომ მართლა დიდი რამ სიდუმლო იყოსო, ძუძუდან ახლად მოშორებულ ციკანს შეჰპირდა ჯილდოთ, ჩვილ ყველსა და მეწველ თხას. შეამჩნიარა სრული გამოუცდელობა: ურჩია, რაც შეიძლება, ახლოს ჩამოჯდარიყო მასთან და ისიც ისევე გაბედულად და დაურცხვენლად ეკოცნა, ვით ქლოია, გულში ჩაეკრა და მასთან წამოწოლილიყო მწვანეზე. როდესაც ჭაბუკი მიუჯდა, მკლავები მოჰხვია და მიწაზე წამოგორდა,-შენიშნა რა ლიკენიონმა, რომ ჭაბუკი მზადა და სურვილით დნება, მან ასწია ფრთხილად და გულმკერდზე მიიზიდა დაფნისი. შემდეგ ყველაფერი ადვილი აღმოჩნდა და თვით ბუნება უკარნახებდა, როგორ უნდა მოქცეულიყო.

19 დასრულდა სიყვარულის სწავლება, გულუბრყვილო დაფნის სწრაფად მიეშურებოდა ქლოიასაკენ, რომ ვაითუ დამაგვიანდეს გზაში და დამავიწყდესო. ლიკენიონმა შეაჩერა და დაარიგა:

— ყური დამიგდე, დაფნის, აი რას გეტყვი: რადგან მე ქალწული აღარა ვარ, ამიტომ ადვილი გადასატანი იყო ჩემთვის სიყვარულის სწავლება. სხვა მამაკაცმა მასწავლა იგი და ჯილდოთ ქალწულობა წამართვა. ხოლო, როდესაც შენ ქლოიასთან მოგიხდება ასეთი ბრძოლა,—ის იყვირებს, ტირილს მორთავს და წინააღმდეგობასაც გაგიწევს... შენ კი არ შეგეშინდეს. და, როდესაც დაარწმუნებ როდესაც დაგნებდება, აქ მოიყვანე, რომ არავინ გაიგონოს მისი წივილ-კივილი, არავინ დაინახოს მისი ტირილი და წინააღმდეგობის გაწევა. ესეც იცოდე, რომ ქლოიამდე, პირველმა მე „დაგავაჟკაცე“.

20. შემდეგ ტყის მეორე მხარეს წავიდა ლიკენიონი, ვითომ ბატის საძებნელად. დაფნისი კი ახლა ჩაუკვირდა მის ნათქვამს და გრძნობდა, რომ ხვევნა-კოცნისა და ალერსის მეტს ვერას მოსთხოვს ქლოიას სულაც არ უნდოდა ისეთი ტან-

ხდინეს დეპუტატებზე: „ბირჟ. ვედ". კერენსკის სიტყვის შესახებ სწერს:

„მის გამოსვლამდის სათათბიროს სულიერ განწყობილება უფრო უფერული იყო, ვიდრე თვით ქვეყნის სულიერი მდგომარეობა. ეხლა კი მრავალი იმისა, რაც დეპუტატებს ადგილობრივ უნახავთ და რაზეც სათათბიროს კულუარებში იმსჯელეს, გამოქვეყნებულ იქნა ტრიბუნაზე. თავმჯდომარემ კერენსკის სიტყვა შუაზე შეაწყვეტინა, მაგრამ მიუხედავად ამის კერენსკიმ რომ სათათბირო გამოაცოცხლა. მძაფრე და უფერულმა მემარჯვენე ბალაშოვმაც ვერ გაანელა ეს სულიერი განწყობილება და მილიუკოვმა კი ისე გაუღვიძა სათათბიროს გრძნობა, რომ თამამად შეიძლება ითქვას რომ ეს პირველ შემთხვევაა სათათბიროში. კერენსკი დეპუტატთა გრძნობაზე ახდენდა გავლენას, ხოლო მილიუკოვი მათ გონებას მიმართავდა. მილიუკოვი მხოლოდ ფაქტებს ემყარებოდა, უზიარებდა მსმენელებს იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მან უცხოეთში მოგზაურობიდან გამოიტან; იხსენიებდა ჩვენი შინაურ ცხოვრებიდან ფაქტებს, რომელიც ადამიანს თვალებში ეხსირება და მოსვენებას არ აძლევს; ამ ფაქტებიდან დასკვნა თავის თავად გამოდინარეობდა.

მეორე დეპუტატი ფეხზე ადგა და ისე უგდებდა ყურს, რომ უფრო კარგად გაეგონათ ყოველი მისი სიტყვა. ძლიერის გრძნობით ახლიდა კითხვებს მილიუკოვი სათათბიროს და დეპუტატთა უმრავლესობა დიდის აღფრთოვანებით იმეორებდა მის მიერ წარმოთქმულ ეპიტეტებს, რაც მძლავრი გამოძახილისავით გაისმოდა თავრიდის სასახლეში.

ადამიანი გრძნობდა, რომ დარბაზში ყველას წინ ისტორიის ძარღვი სცემდა და რომ დადგა დრო, როდესაც სიტყვა საქმედ იქცევა ხოლმე".



პ ა რ უ ჩ ი კ ი

✝ სილიბისტრო დულონაძე.

დაეცა გმირულ ბრძოლაში ოსმალეთის ფრონტზე. დაჯილდოვებული იყო სტ. 3 და 4 ხარ. ანის 4 ხარ. წარდგ. ოქროს ხმალზე, ვლად. 3 და 4 ხარისხ. და გიორგის 4 ხარ.

# ახალი ამბავი.

22 ნოემბერს, მგოსან ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებიდან ასი წლის შესრულების აღსანიშნავად დაბა ახალსენაკში გაიმართება საღამო. ამ საღამოში სხვათა შორის მიწვეულია ია ეკალაძე, რომელიც ლექციას წაიკითხავს შემდეგ თემაზე: „მთიები ქართულ პოეზიისა, ანუ ნიკოლოზ ბარათაშვილი", ლიტერატურულ კრიტიკული განხილვა ნ. ბარათაშვილის პოეზიისა და მისი მნიშვნელობა აწმყო და მომავალ ქართული მწერლობისათვის.

✦ ქუთაისის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტი 4 დეკემბერს იწვევს საზ. წევრთა საერთო კრებას საზოგადოების გამგეობის, საბჭოსა და სარევიზიო კომისიის წევრთა ასარჩევად.

✦ სახალხო წარმოდგენა. შაბათს 12 ნოემბერს, ქალაქის თეატრში ადგ. დრამატიული დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ჭანტურიშვილის 3 მოქმედებიანი დრამა „მორევში".

✦ ქუთაისის გუბერნატორმა დაამტკიცა ახალი ნიხრი, რომლის ძალით ოზურგეთის მაზრაში შემდეგ ფასებში უნდა გაიყიდოს სურსათ-სანოვაგე: პური ფურნის ოყა (3 გირ.) I ხარისხის 30 კ., II—27 კ., III—24 კ., ხორცი I ხარისხის გირვანქა 30 კ., კამეჩის 20 კ., ხბოს და ცხვრის 35 კ., ღორის 25 კ., ქონი ძროხის 40 კ., პერლოვის კრუპა გირ. 15 კ., გრეჩნევის 18 კ., ბრინჯი აკულის 35 კ., საროჩინის 30 კ., მარილი ფუთი 2 მ., გირვანქა 5 კ., სამარხვო ზეთი გირ. 35 კ., ლობიო ფუთი 4 მ., გირ. 10 კ., ქართოფილი 6 კ., ხახვი 8 კ., თევზი, ტარანი გირ. 30 კ., შაქარი თავი გირ 23 კ., ფუთი 9 მ. და 10 კ., ფხვნილი გირ. 20 კ., ფუთი 7 მ. და 50 კ., ერბო I ხარისხის 1 მ. და 60 კ., ყველი (სულგუნი) 35 კ., სვანური გირ 40 კ., კვერცხი ასი 3 მ., ათეული 50 კ., სიმინდი სხვადასხვა ადგილებიდან მოტანილი ფუთი 1 მ. და 50 კ., ადგილობრივი 1 მ. და 60 კ., ფქვილი სიმინდის მოტანილი 1 მ. და 80 კ., ადგ. 2 მ., ლომი ფუთი 4 მ. და 50 კ. პურის ფქვილი როსტოვის, ტომარა (5 ფ) №4—21 მ. და 25 კ., №5—21 მ. №6—20 მ და 75 კ., №7—19 მ.-50 კ. სამხრეთ კავკასიის პურის ფქვილი მეტი ღირს ტომარა 75 კ., ქერჩის №3—24 მ., და 50 კ., №3. ბ. —23 მ., 75 კ., №4—23 მ.,—25 კ., №4 ბ 22 მ.,—75 კ., №5—22 მ., №6—21 მ. ქართოფილის ფქვილი გირ. 20 კ. საპონი I ხარისხის გირ 30 კ., ფუთი 19 მ., სანთელი გირ 1 მ., ასანთი ათეული 50 კ., თითო კოლოფი 6, თივა ფუთი 1 მ., ნავთი ფუთი 2 მ., და 80 კ., გირ 6 კ. შეშა საჟენი 45 მ., ფუთი 35 კ. და სხვ.

✦ ქუთაისში კვლავ ძლიერი ქარი ქრის 9 ნოემბერს ღამით მრავალ სახლს სახურავები აგლიჯა, ქუჩებში ბევრ ალაგას აფიშების გასაკრავი „კიოსკები" წააქცია და ტელეგრაფის მავთულის ბოძები მოთხარა.

✦ მთავრობის დაწესებულებებში მოსამსახურეთ ომის მიერ გამოწვეულ სიძვირის გამო ჯამაგირები გაუდიდეს.

✦ 9 ნოემბერს თბილისის ქუჩაზე მცხოვრებ ცუცუ ლოლუას სახლში შეუცვივდენ ქურდები და მოჰპარეს მას ნოხი 100 მან. ღირებული.

✦ 9 ნოემბერს ღამით სასტუმრო „ცენტრალში" ჩხუბის დროს ბიჭიკო გელვანმა რევოლვერით დასჭრა თავადი კოწია წულუკიძე, რომელიც საავადმყოფოში მოათავსეს, დაჭრილის მდგომარეობა საშიშია. გელვანი დააპატიმრეს.

✦ კვირას ქალაქის თეატრში ად. დრ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება შილლერის ცნობილი 4 მოქ. დრამა „ყაჩაღები". თარგმანი ავალიშვილისა.

✦ უბედური შემთხვევა. 10 ნოემბერს ალექსანდროვის ქუჩის შესახვევში, ჩამოინგრა ხონელიძის სახლის კედელი და დაეცა ვასილ კორძაიას სახლს, რომლის სახურავი ერთიანად დაამტვრია, სახლში ამ დროს იყო თვით კორძაია თავის ცოლით. სახლის ჩამონგრევა გაიგო მეზობლის ქალმა, რომელმაც მიაშველა მეზობლები და ცოცხალმკვდარი ცოლ ქმარი სიკვდილს გადაარჩინეს.

## სოფლად და ქალაქად.

— ქალაქ. ოზურგეთში, 30 ოქტომბერს ხარლამპი ბარამიძის სამანუფაქტურო სავაჭრო გაუტეხიათ გოგიტიძეს და მგალობლიშვილს და წაუღიათ 500 მანეთი ფული. პოლიციამ ქურდები დააპატიმრა. (რომლებიც გამოტყდენ დანაშაულში) და გადასცა სასამართლოს.

— ქ. ზუგდიდან ქუთაისის გუბერნატორს დეპეშითატყობინებს სამაზრო სამმართველოს გამგე რომ 8 ნოემბერს ყაჩაღებთან შეტაკების დროს მოუკლავთ ყაჩაღები კვარაცხელია და ზარანდია.

— სოფელ მუხურში (ზუგ. მ.) 17 ოქტომბერს ორი შეიარაღებული ავაზაკი გზაში დახვდენ ევსტაფი ფირცხალავას წაართვეს მას ფულად 10 მ. სხვა და სხვა ნივთები და მიიმალენ, პოლიციამ მძარცველთაგან ერთი დააპატიმრა (გაბედავა) და გადასცა სასამართლოს.

— სოფელ დესიჩინაში (ზუგ. მაზრა) 24 ოქტომბერს 5 შეიარაღებული ავაზაკები თავს დაესხნენ ივანე სიჭინავას წაართვეს მას ფული 50 მან. ნივთები 146 მანეთის და მიიმალენ.

# კავკასიის ქრონიკა.

## საქართველო

— თფილისის ქ. შ. წ. კითხვის გამავრც. საზოგადოებას წლიური კრება 4 დეკემბრისთვის დაუნიშნავთ კრებას დაესწრებიან საზოგადოების განყოფილებათა წარმომადგენელნიც. კრების საგნები შემდეგია: 1) 1915 წლის მოქმედების ანგარიში; 2) აკაკის მამულის მიღების საკითხი; 3) საზოგადოების ახალი პროექტი; 4) განყოფილებათა ინსტრუქციის ახალი პროექტი; 5) სარევიზიო კომისიის მოხსენება; 6) ახალ წევრთა მიღება.

— იქიდანვე წ. კ. გამ. საზოგადოების საპრემიო კომიტეტს ნ. კ. ლოლაძერიძის სახელობის პრემია—300 მანეთი ბ-ნ იუსტინე აბულაძისთვის გადაუწყვეტიათ მის თხზულებისთვის ვეფხვის ტყაოსანი და ცნობ კრიტიკული ტექსტის რამდენიმე ნიმუში. იქიდანვე ცნობა მოვიდა რომ მიწადმოქმედების სამინისტროს ხარჯით სამეგრელოში ჩაის ფაქტორია უნდა გაიხსნეს მასთან სასცდელი პლანტაციით. ამ მიზნისთვის თავ. მინგრელსკის 20 დესიატინა მიწა გადაუდვია. ფაქტორია წელიწადში 30,000 გირვანქა ჩაის გამოუშვებს. პირველში ამ საქმის მოწყობას 70,000 მანეთი დაჭირდება და შემდეგ წლიური ხარჯი 16,000 მანეთს არ აღემატება.

— ბათუმი. სახალხო სკოლების გასავრცელებლად ქალაქებს მთავრობიდან მატერიალური დახმარება ეძლევათ. ამ მატერიალურ დახმარებაზე ქალაქის გამგეობას კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე 1914 წელს შუამდგომლობა აღუძრავს. წრევანდელს სწავლის წლის დასაწყისში აღმოჩენილა რომ სწავლის მთხოვნელი კიდევ 270 ბავშვია. ქალაქის სამოსწავლო კომისიას მზრუნველიდან ფულის მოლოდინში ეს ბავშვები მიუღია და მათთვის დროებითად სხვა სკოლის ბინაზე ნასადილეობით სწავლა მოუწყვია შემდეგ შეუტყვიათ, რომ მზრუნველის კანცელარიაში ბათუმის ქალაქის გამგეობის წარდგინება არ აღმოჩენილა. ახლა საქმე მაზეა, აღმოჩნდება თუ არა ეს წარდგინება და ქალაქის გამგეობა მიიღებს თუ არა დახმარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში 270 ბავშვი იანვრიდან უნდა დაითხოვონ.

# განზრახული სამეურნეო სასწავლებელი ზესტაფონში.

(იხ. „სამშობლო" № 481).

როგორც ვხედავთ სასწავლებლის ხარჯთ აღრიცხვიდან და თვით გაკვეთილების და საგნების გეგმიდან, ასეთი სასწავლებელი, მართლაც რამ დიდი და სერიოზულია. ამისათვისაც არის რომ მთავრობისათვის ორი—სამი გიმნაზიის გახსნა უფრო ადვილია, ვიდრე ერთი საშუალო საერთო ტიპის სამეურნეო სასწავლებლისა რასაკვირველია, ასეთ დიდ ხარჯებს მარტო ... ნისტრო არ იკისრებს ... მონაწილეობა ხალხის ... კანცელარიამ და ჩვენში არსებულმა საქველმოქმედო და კულტურულმა ყველა საზოგადოებამ უამისოდ მარტო სამეურნეო მოქმედო სამინისტრო, ვიმეორებ, ასეთ დროს არ იკისრებს ისიც ჩვენში ასეთი სასწავლებლის გახსნის ხარჯებს. ამას გარდა, რასაკვირველია, დიდს საქმეს ყოველთვის თან დიდი დაბრკოლებები ეღობება წინ. ეს საკითხი იმდენად რთული და სერიოზულია, რომ მისი საბოლოო ასე თუ ისე გადაწყვეტა 2—3 წელიწადზე მეტს გასტანს.

რა განზრახვა აქვს თვით ხალხს, როდესაც ასეთ დიდ საქმეს კიდებს ხელს? განზრახვა მეტად სიმპატიური და სასარგებლოა ხალხს უნდა, რომ ამ სასწავლებლებში აღზარდოს თავისი შვილები, ხოლო შინ დაბრუნებულმა შვილმა ... ვავოს და წინ წასწიოს მეურნეობა ... ლად გლეხი, რომელიც ამ საქმეში ... ვის წვლილს გამოიღებს, დარწმუნებულია, რომ ეს სასწავლებელი თავის ... ლის მიწაწყალს დაუბრუნებს ნა... მუშაკს—შვილს. თუ ეს ასე არ მოხდა, მაშინ ისეც ტიალ სოფელს, კიდევ ... ახალგაზრდა ძალა მოაკლდება და ... ნის ნაცვლად, უარეს ზარალს ნახავს ... გრამ ვშიშობ, ვაი თუ ეს ვინმემ ისე ... გოს, რომ საზოგადოთ მე საშუალო, უმაღლეს სწავლა განათლება ი ვერ ... დავდე სარგებლობას. მე თუ ამას ... იმიტომ—რომ მალაპარაკებს მწარე ... ცდილება, მალაპარაკებს თვით სოფ... და მისი მეურნეობის—ინტერესები. ... ში ბევრია საშუალო და უმაღლეს სა... რნეო სწავლა დამთავრებული ქართ... ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა. აბა, მითითეთ რომელი მათგანი ეწევა ... სოფელში—თავის ოჯახში მეურნ... საუბედუროდ და სავალალოდ ეს ჩვენ... მარა ჩვენ განა სახელმწიფო სამ... არ ვამჯობინებთ დამოუკიდებელ ს... ცხოვრებას? ერთს ჩვენგანს, აგრ... თუ კერძო რომელიმე დარგის ... ლისტს გავვაჩნია სახლში რამე?

ერთმა ჩემმა მეზობელმა მევე... და მევენახეობის შესახებ გრძელი ... შემდეგ სამართლიანად შემნიშნა. ჩემო ბიძიავ, ყველაფერი კარგათ ... მაზედ დაგვიმტკიცე, მარა შენ შ... ხში რატომ არაფერი გააკეთე; ... სარგებლიანია მეურნეობა, ნუ ... ბინაზე ვერ მოიყვან იმდენს, ... ჯამაგირს იღებო ასეთ შენიშვნ... ლოდ ჩემი სახის სიწითლემ გას... სუხი.

მართალია, ჩვენ ყველას კარგ... მის მნიშვნელობა ამა თუ იმ ... ვესმის მისი სარგებლიანობა, ... სმის, რომ ჩვენ ამავე ენერგიი... ვით, რასაკ სამსახურში ვხარჯ... ძლო თავისი თავის უზრუნველ... და სამსახურიდან დამოუკიდებ...

ჯილდოდ ეთი კოცნა გამოსტყუა.

23. „ჩემო უტკბესო, ქლოია, მრავალი ფერია სცხოვრობს ამ ქვეყანაზე: ზოგი მათგანი ბაღებში ბინადრობს, ზოგი ჭალაში და ველ-მინდორზე; ყველა მათგანი შესანიშნავი სილამაზის პატრონია და უყვართ ჰარმონია. ერთ ამ ფერიათაგან იშვა მამის მხრით მომაკვდავი ექო (გამოძახილი), ისეთივე შესანიშნავი ლამაზი, ვით ქალ-ღმერთა მისი მშობელი. ფერიათ გამოზარდეს, მუზათ შეასწავლეს სალამურსა, სტვირსა, ქნარზე დაკვრა და სხვა მრავალი სიმღერა გალობანი. ფერიათა მთელი გუნდი დაჰყავდა და მუზათ უმღეროდა, როდესაც წამოიზარდა. ქალწულობა შეიყვარა და გადაჭრილი უარი სთქვა ვისიმე კუთვნილებად გამხდარიყო ადამიანის, თუნდ ღმერთის. შეშურდა პანს მისი მომხიბლავი სიმღერა, ჯავრით კვდებოდა, რომ მოკლებული იყო საშვალებას დამტკბარიყო მისი სილამაზით და, შეიძულა-რა ექო, — მისადმი შური და მტრობა—სიძულვილი დასთესა მწყემსებში. მგლის ხროვასავით, დამშეული ძაღლებივით მიესივნენ. ლუკმა ლუკმად დაჰგლიჯეს და მთელ მიდამოს მოჰფინეს ჯერ ისევ მუსიკის სხვადასხვა ჰანგთა გამომცემი ნაწილები. ფერიათა სასიამოდ სიხარულით მიიღო იგინი დედამიწამ და გრძნობით ჩაიკრა გულში. მან შეიყვარა და შეინახა მისი ჰანგები და მუზათაგან ნაწყალობევი გრძნეულებით ექოს მაინც შერჩა მეტყველების უნარი და, ვით ოდესღაც ტოროლასავით აწკრიალებდა თავის ხმას, ეხლაც ისევე განაგრძობს,—ხალხს ეხმაურება, ჰბაძავს სალამურს, სტვირს და მხეცთა ყმუილს. პანის სალამურის დაკვრასაც იმეორებს და აბრაზებს ღმერთს; თხისფეხა დახტუნავს, მთებში დარბის და მხოლოდ ერთს ფიქრობს, როგორმე დაიჭიროს ცელქი და მოუსვენარი, რომელიც ყოველ ნაბიჯზე აჯავრებს და აღიზიანებს".

ორჯელ ეთი და კიდევ მეტი კოცნა შესთავაზა ქლოიამ, იმიტომ რომ ექო იმეორებდა თითოეული დაფნისის სიტყვას და ადასტურებდა ზღაპრის სიმართლესა და ჭეშმარიტებას.

24. მიიწურა გაზაფხული და თანდათან ჩამოცხა—ზაფხული ახლოვდებოდა. ზაფხულის თანამგზავრი—ახალი სიხარული მოელოდათ: დაფნისი მდინარეში დაცურავდა და ქლოია პატარა ღელეში ჰყუპალაობდა. დაფნისი სალამურს უკრავდა და ცაცხვის შრიალს ეჯიბრებოდა, ქლოია თავის გალობით ბულბულთ ეკამათებოდა. მთელ დღეს მხიარულ და ყბედ ჭრიჭინებს დასდევდნენ ორივენი, ჰკრეფდნენ ყვავილთ, ხის ტოტებს მოიწოდებდნენ და მწიფე ნაყოფს შეექცეოდნენ. შემდეგ ერთად დაწვებოდნენ და ზევიდან თხის ტყავს იხურავდნენ; ქლოია სულ ადვილად გახდებოდა ქალი-დედაკაცი, რომ დაფნისს მისი ტკივილებისა და ტირილის არ შინებოდა. და ძლიერ ხშირად, რომ იქნება თავი ველარ შევიმაგრო და ვერ გავუმკლავდე გრძნობდი, ნებას არ აძლევდა ქლოიას სამოსი გაეძრო ტანზე. უკვირდა ქლოიას მისი სიფრთხილე, ხოლო კითხვას ვერ უბედავდა, თუ რისა ეშინოდა.

25. ბევრი საქმრო აღმოუჩნდა ქლოიას იმ ზაფხულს. ყოველი მხრიდან მოსდიოდნენ დრიასს ქალის მთხოვნელები ზოგიერთებს ძღვენიც მოჰქონდათ, ასე რომ, ნაპე დიდ სარგებლობას მოელოდა ქლოიას გათხოვებით და ქმარსაც ... ჩქარა მოეცილებინა თავიდან ... არ სჯდომოდა უკვე მოწიფულ... რომელიც დღეს თუ ხვალ ... ვაშლსა ან ვარდის გვირგვინ... მწყემს მიჰყიდდა თავის ქალწულ... ჯობესი: სადმე კარგი ოჯახი... ვათხოვოთ და ჩვენც კარგი ს... ლოთ და ჩვენ ღვიძლ შვილს ... (იმ ხანებში ეყოლათ ვაჟი). რომ სიამოვნებით დათანხმ... სი, მით უმეტეს, რომ სუ... და ისეთ სასყიდელს, როგო... ში სთავაზობდნენ. ზოგჯერ ... აზრი გაურბენდა გონებაში ... და, რომ თუ ოდესმე საქმ... ლები აღმოჩნდნენ, ამ შემთ... მათი ოჯახის გაბედნიერებ... დება და მისი მშობლები ... დოვებენ მას. ამიტომ აყო... გადაწყვეტილი პასუხს და ... ეძლეოდა ძღვენ საჩუქართ... ლა ამას ხედავდა ქლოია, ... ჯებოდა, ხოლო დაფნისი... არა სძრავდა ამის შესახებ... ლიც არ დაეკოდა. უკანა... დესაც ემუდარებოდა და ა... ფნისი, რომ ეჰვები ახრჩობ... დაფიქრებისა და სიჩუმის შ... ლებით უამბო ქლოიამ, თუ რ... რებდა ნაპე მის გათხოვებას ... კი ცივ ავრზე იდგა და რთვე...

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

...იყავით მარა, სამწუხაროთ ეს მხო-
...ოდ კავსმის და საქმეზე რომ მიდგება,
...მ ურს ვერ მოვშორებივართ.
...ახ. რებული აზრია, მარა რუსეთის მთა-
...ობ რომ ჩვენდა სასიკეთოთ იმდენ
...აქ. იონერებას გამოიჩენდეს, რომ არც
...ით ქართველ აგრონომს თუ სპეცია-
...ალტს არ დანიშნავდეს სახელმწიფო სამ-
...ურში, მაშინ ის დიდ სარგებლობას
...იუტანდა ჩვენს ერსა და ქვეყანას, რა-
...გან ჩვენ აგრონომებ—სპეციალისტები
...ვერ ცოდნას და ენერგიას ჩვენ
...ე საქმეს მოვახმარდით და სო
...ლ ს მაგალითად უფრო მეტს შე
...ენდით ვიდრე კაკარდის ტარებით და
...ექციების კითხვით. მაშასადამე, ჩვენ
...ვით სოფლისთვის და ჩვენი მიწა-წყლი-
...ვის ნაკლები გამოსადეგი ვართ, ვი-
... თუნდაც ჩვენში არსებული დაბალ
...ურნეო სასწავლებლების მოწაფენი.
...ნი უფლება მოკლებულნი სოფელს
...ბრუნდნენ და ავათ თუ კარგათ მა-
... მუშაობენ სახლში და დამერწმუნეთ
...იან ისინი უფრო ახლოს სდგანან,
...ე ჩვენ. საშუალო სამეურნეო სწავ-
...დამთავრებული სოფელს არ დაუბრუ-
..., მთავრობის სამსახური ბევრია და
...მსახურს ამჯობინებს, სახლში წას-
... ამას გარდა ჯერჯერობით ჩვენ
...ს, რომელსაც ჯერ კიდევ მამა-პაპუ-
...უთანი ვერ გაუგდია ხელიდან, თეორე-
...ლად მომზადებულ ახალგაზრდა უფრო
...ებ სარგებლობას მოუტანს, ვიდრე
...იკულად ამა თუ იმ დარგში კარ
...დახელოვნებული ახალგაზრდა. და
... საშუალო სასწავლებელი უფრო თე-
...იკოს მოგვიმზადებს, ვიდრე პრაქ-
...ს ეს თვით ზემოყვანილ საგნების
...დან სჩანს. იქ ნათლად არის ნაჩვე-
...რომ საგანს რამდენი საათი აქვს და-
...ლი, როგორც თეორეტულად, ისე
...იკულად.
...ი თეორეტიკოსები თავისი თეორიის
...არკიელებლად ჩვენს სოფელში
...ობით საჭიროთ მომზადებულ ნია-
...ვერ იპოვნიან. ეს იმას ეგვანება,
...ენში ორკლასიანი სასწავლებლები
...ნაზიები არ ყოფილიყო და უნივერ-
... გახსნაზე. აგვეძრა შუამდგომლო
...არებ, საშუალო სამეურნეო სას-
...რი, რასაკვირველია, თავას თა-
...როა, საჭიროა იმიტომ, რომ მეტ
...ენტ მუშაკს შესძენს საქართვე-
... ახალგაზრდას მიეცემა საშუალე-
...ლო განათლება მიიღოს, მარა
..., რომ თვით სოფელი, რომე-
...ს შვილებს გააგზავნის იქ, და-
...დება თუ არა? მე ვამბობ, რომ
...რო. ამას გარდა ბევრი მათგანი
... სასწავლებელში წავა და ამით
... მოშორდება თავის კერას. სულ
...თი იქნება, როდესაც ჩვენ მივ-
...და დაუახლოვდებით პოლონეთს
...ში, ანუ ნემცებს კოლონისტებს,
... მშვენივრად მოეწყვნენ ჩვენს
...ე. არცერთი ნემეცი მემამუ-
...ინდ მილიონერი იყოს, ის თა-
...ს უნივერსიტეტში არ აღზრდის.
...შვილს აგზავნის დაბალ ტიპის
... სასწავლებელში, შემდეგ კი
...სწავლებელში შეყავს და ამ
...ასაკვირველია, მას სახლში
... პრაქტიკულათაც და თეორე-
...ომზადებული შვილი.

გ. ქიქოძე

(...შემდეგი იქნება).

...ა წერილები.

...ვლებლებში მოსწავლეების
...ნეობა ნიშნების საშუალე-
... სწავლის დაფასება და ნიშ-
...რასაკვირველია, მასწავლე-
...ნას შეადგენს დროებით
...ქმების შემდეგ ასეთ ნიშ-
...თ მეტი ფასი დაედვა ამ
...ბის მიხედვისამებრ გადა-
... კლასიდან კლასში. ეს გა-
...ვლეებისათვის დიდი შელა-
... არის, გაქრა ის სულიერი
...ება, რომელსაც მოსწავლე
...ების დროს განიცდიდენ. ერ-
...ვით მოსწავლე ახალგაზ-
...ავისუფლად ამოისუნთქა. უშ-
...ა უჯაფოთ არასფერი არ არის,
...სა და იმავე საქმისათვის ორ
... და ტანჯვა ზედმეტად მი
...ვლე ახალგაზრდობა ჯერეთ
...ომზადებისათვის უნდა

ეწვალოს და იგი რიგიანად მასწავლე-ბელს ჩააბაროს და მერე გამოცდებისათვის უნდა იტეხოს თავი და თითო კვირაობით და, ხშირად თვეობითაც, მთელი კომისიის წინაშე იკანცახოს და ზნეობრივი ღამცირება და ტანჯვა-წვალება იგემოს მასწავლებლებისათვისაც კარგია გამოცდების გაუქმება. აპრილიდან მათ პირადობას მეტი გავლენა აქვს მოსწავლეების თვალში. მხოლოდ სავალალო და სამწუხარო ის არის, რომ მოსწავლე ახალგაზდობა ყველა საგნების შესწავლას ერთნაირის ერთგულობით და მუყაითობით არ ეკიდება. ერთ საგანში რომ ძრიელ მეცადინეობს და მას უმთავრეს საგნად სთვლის, მეორეში ცუღლუტობს და მას ზედმეტ ბარგათ აგდებს. ამ შემთხვევაში მე განსაკუთრებით საერო სასწავლებლებს ვგულისხმობ,

ამ სასწავლებლის მოსწავლეებს მარტო ქართული ენა აქვსთ აბუჩად აგდებული. რამდენათაც მახსოვ კასოს მინისტრობის დროს განკარგულება იყო გამოცემული, რომ ადგილობრივი ენების სწავლება მოსამზადებელი კლასებიდან უნ და შემოეღოთ და ნიშნების დასმისთვისაც ჯეროვანი ყურადღება მიექცია საშუალო სასწავლებლის მთავრობას, მაგრამ ეს განკარგულება, ვგონებ პეტრეს ქალაქს არ გამოშორებია და იქვე განისვენა კასოსთან ერთად. ქართული ენისადმი მთავრობის უყურადღებობას ქართველი მოსწავლე ახალგაზდობის უმრავლესობა თანაგრძნობით ეკიდება და ალაგ ალაგ, არამც თუ ამ საგანში ცუდი ნიშნის დასმის არ ეშინია, სრულიადაც ალარ სწავლობს დედა ენას. ასეთ მოსწავლეებს გადაგვარებული ქართველი მშობლებიც კვერს უკრავენ და ამ რიგად საერთო საქმე ფუჭდება. ამ საგანზე სერიოზნული დაფიქრება მართებს ქართველ საზოგადოებას. ქართველ მიწაწყალზე ქართული ენა რატომ უნდა იყოს გამოთიშული და უფლებით სხვა საგნებთან გაუთანასწორებელი? ეს კითხვა კითხვად რჩება და ამის გამოსწორებამდის წყალი ჩაივლის და მამალი ; ბევრი დაიყივლებს, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენ საქმეს უნდა ვეცადოთ და როგორმე შემოუაროთ. ამ შემთხვევაში ერთად ერთი გამოსასვლელი გზა ეროვნული იდეალების შეგნება არის. სწორეთ ეს შეგნება გვაკლია, თორემ ქართველი მოსწავლეები და მათთან ქართველი საზოგადოებაც ჩვენ დედა ენას ჩვენში გაბატონებული უცხო ენაზე რატომ წინ არ აყენებენ, პირველნი გულმოდგინებით არ სწავლობენ მას და მეორენი მაზე არ მსჯელობენ და არ მუსაიფობენ. მაშ, გაუმარჯოს ეროვნულ შეგნებას ჩვენში.

მ. ბუჩიძე.

## პროვინციის ცხოვრება.

**ჭიათურა.** აბულაძის და ბარათაშვილის მარგანეცის სარეცხ ქარხანაში მუშათა ეკონომიური მდგომარეობა ძველ პირობებში არსებობს. ნოქარი და ტაბელჩიკი ხაზეინების ერთგულობას იჩენენ და 8 საათის მაგიერ მუშებს 9 საათს ამუშავებენ. „თ. ა."

**ბელიკლუჩი** (თფილისის მაზრა). ამ დაბაში ვინ არ ცხოვრობს: ქართველი, რუსი, სომეხი, ბერძენი, ოსი, მაგრამ ყველა ეს ხალხი აქ იმდენად ჩამორჩენილია, რომ ერთი კულტურული დაწესებულება არა აქვთ. დაბაში დიდი სიბინძურეა. აქ ვაჭრებით დარჩათ მოედანი; საქონელს ერთი ასათ ყიდიან და საზოგადოებას აუტანელ პირობებში აყენებენ, „თ. ა."

**სოფ. ბიორბი წმიდიდან** იწერებიან, რომ იქ მთავრობის მამასახლისია დანიშნული, რომელიც ერთ დროს „სოციალისტობდა". ეს მამასახლისი დიდ დაუდევრობას იჩენს. სოფელში დიდი ქურდობაა: იპარავენ საქონელს, ფრინველს, ბეღელში პურს. ამ დღეებში ვენახში ქალები დაიჭირეს, გააუპატიურეს და საღამოზე გამოუშვეს. დამნაშავენი მამასახლისმა არ დაიჭირა. „თ. ა."

**სოფ. თოხლიაური.** თავადს და გლეხს ტყების გაყოფაზე უთანხმოება მოუვიდათ. თავადმა მამასახლისი სახლში მიიწვია, დაათრო და შემდეგ მოწინააღმდეგე გლეხის სახლში ორივე წავიდენ. გლეხი სახლში არ დახვდათ; მამასახლისს გული მოუვიდა და გლეხის ცოლი ცემა. ამის გამო მამასახლისი გადააყენეს. გლეხებს ძრიელ უხაროდათ, მაგრამ სიუბე დურით ორი თვის შემდეგ მამასახლისი ისევ დააბრუნეს. „თ. ა."

## რუსეთი.

დეპუტატთა შორის დიდი კამათი გამოუწვია ხმებმა, ვითომც დეპუტატები პასუხის გებაში იქნებიან მიცემული, თუ მათ სიტყვაში რამე ამის ღირსი სთქვეს.

— რომანსკის გაზეთებისათვის განუცხადებია, რომ სათათბიროს სხდომების ყველა ანგარიშს მთლიანად აწვდის „ზექვლითი სიტყვის ბიუროს" და თუ ამ ანგარიშებიდან რაიმე არ იბეჭდება ეს ჩემდა უნებურად ხდება.

— სიმფეროპოლში ბოლო დროს ახალ მოვლენას მოუკიდეი ფეხი მდიდარი მექარხნეები დიდ ხელ ფასს აძლევენ იმ მუშებს, რომელნიც სახელმწიფო თავდაცვისათვის მუშაობენ, და თავისკენ იზირებენ. ამის გამო გამოიცა სავალდებულო დადგენილება, რომელიც სასტიკად დასჯას უქადის ზემო ხსენებულ პირთ.

— როგორც პეტროგრადიდან იტყობინებიან ახალ სამხედრო სესხზე ხელის მოწერა ძალიან კარგად მიდის. მოსკოვის შემნახველ კასებში 6 მილიონზე მოუწერიათ ხელი, პეტროგრადისა — 5 მილიონის. სახელმწიფო ბანკის მოსკოვის კანტორას —19 მილიონისა, პეტროგრადისას—18 მილ. მან.

— მემარჯვენეებს გადაუწყვეტიათ სათათბიროში და საბჭოში „პროგრესიულ ბლოკის" საპასუხოთ „შავი ბლოკი" შეკრან.

— როსტოვში და პერმში ამ მალე ხან შიუნივერსიტეტები გაიხსნება.

— ტყუილი გამოდგა ის ხმები, ვითომ ა. ი. გუჩკოვი დიპლომატიმრებით ან თითქოს ადმინისტრაციას დევნა დაეწყოს მისთვის.

— სათათბიროს ცენტრის სხდომაზე ვ. ნ. კრუპენსკის განუცხადებია წერილობით მე არც ერთ მინისტრისათვის არ გამიცვნია პროგრესიულ ბლოკის დეკლარაცია, ხოლო შეიძლება მახლობელ მინისტრებთან (ჰგულისხმობს ალბად ბობრინსკის ან პროტოპოვს) ლაპარაკის დროს რაიმე წამოცდა ბლოკის დეკლარაციის შესახებ.

— მმართველ წრეებში ბოლო დროს ბევრს ბჭობენ მთავრობის პრესის დაარსების შესახებ, მთავრობის ორგანოებმა ერთის მხრით მთავრობის შეხედულებანი უნდა გაატარონ ცხოვრებაში და მეორეს მხრით ბრძოლა უნდა გამოუცხადონ და მოუკიდებელ პრესას, რომელიც ბოლო დროს მმართველ წრეების აზრით დიდ გავლენას ახდენს რუსეთის შინაგან ცხოვრებაზე.

— სათათბიროს პირველ სხდომაზე შტიურმერისათვის უჩვენებიათ მილიუკოვის სიტყვის დედანი; ჭისეთი შთაბეჭდილება მოუხდენია შტიურმერზე მილიუკოვის სიტყვას, რომ რომიანკოს სიტყვას შემდეგ პრემიერს დარბაზი დაუტოვებია.

## უცხოეთი.

მექსიკაში (ამერიკაში) ახლო მომავალში კვლავ რევოლიუციაა მოსალოდნელი მექსიკა კლასიკური ქვეყანაა ამბოხების მხრივ: ყოველი ცოტად თუ ბევრად გავლენიან პირს შეუძლია აქ გამოიწვიოს აჯანყება და ყოველის მთავრობის და მართებლის უკმაყოფილონი არიან მექსიკელები. ამ ქვეყნის ეხლანდელ პრეზიდენტს აუჯანყდა ფელიქს დიაცი, რომელიც წინანდელ პრეზიდენტის ძმისწულია და შურის ძიება სურს. გენ. კარანცა უკვე გაქცეულა მექსიკიდან და მოსალოდნელია, რომ ამერიკის შტატები მექსიკის ამბოხების ჩასაქრობად კვლავ გაგზავნიან ჯარს.

— შეერთებულ შტატების მთავრობას გერმანიისთვის პროტესტი გაუგზავნია პროტესტი ამითაა გამოწვეული, რომ გერმანელებმა ბელგიელები ძალით სამუშაოზე გაიყვანეს..

— ამ მოკლე ხანში ინგლისში ოფიციალურად გამოაცხადებენ პურისა და სხვა საკვების ეკონომიის საჭიროებას. გაზეთების სიტყვით მთავრობას უკვე გაუცია ბრძანება, რომ ჩვეულებრივ პურის მაგივრად მჭად-პურა გამოაცხონ.

— რუსეთის და ინგლის კომერციულ წრეებს შორის თან და თან ურთიერთობა ვითარდება ინგლისის ბეწვეულობის მოვაჭრეების თხოვნით ბოლო ხანს რუსეთიდან ინგლისში გადაზიდული იქნა 28 მილიონ მანეთის ბეწვეული ასე მრავლად წინად არა დროს არ გაუზიდიათ ინგლისში რუსული ბეწვეულობა.

— დამოუკიდებელ პოლონეთში უკვე გამოცხადდა პოლონეთის სეიმის დეპუტატთა არჩევნები. მთელი მხარე 32 საარჩევნო ოლქად არის დაყოფილი. ვარშავის გუბერნიიდან უნდა აირჩიონ 30 დეპუტატი, ლოძისა-9, კალიშისა და ტურეკისა სამსამი, ჩენსტოხოვისა-2, პულტუსკისა და მაკოვისა-ოროლი, დანარჩენებმა თითო თითო არჩევნების უფლება ეძლევა პოლონეთის ყველა მოქალაქეს, რომელმაც 30 წელს მიაღწია და მის სახელს რაიმე ჩირქი არასცხია.

— გალიციის ავტონომიის გამოცხადებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია გალიციაში მოსახლე რუსეთა შორის. პოლონელები და რუსინები გალიციაში არეულები არიან ერთმანეთში და მათ შორის დიდი შუღლია. როცა პოლონელებს მისცეს უპირატესობა, რასაკვირველია, ეს რუსინებს არ ესიამოვნათ და დრტვინვა დაიწყეს.

— გენ. ჰინდენბურგს გერმანიის კანცლერისათვის წერილი მიუწერია, რომელშიაც წინადადებას აძლევს საკმაო საჭმელი მიეცეს იმ მუშებს, რომელნიაც თავდაცვისათვის მუშაობენ და მათი ჯაფა ამიტომ მეტის მეტად მძიმა.

— გერმანიაში შრომის სამოქალაქო ბეგარა გამოაცხადეს, რის ძალითაც 15—60 წლიანებამდი იძულებით სახელმწიფოს თავდასაცავად სამუშაობებზე იქნებიან გაყვანილნი. გაზეთები ამ ზომას თანაგრძობით შეხვდნენ.

## პასუხი ბ-ნ „ივერიას"

გაზ. „სამშობლო"-ს №476-ში მოთავსებულია თქვენი წერილი, რომელშიაც გვაძლევთ ბევრ ბრალდებას. თქვენი ბრალდება სიმართლეს მოკლებულია. თქვენ ბ-ნო „ივერია" ამბობთ, რომ „შესვლისთანავე აბანოში თქვენ ხედავთ უპატიოსნობას"-ო. რაში გამოიხატება ეგ უპატიოსნობა, არ გვესმის, იმაზე ხომ არა ბ. „ივერია" რომ ერთ სამარში ხუთ ხუთს გერ უშვებთ, ჩვენ რომ ბევრ გვექნა მაშინ კარგი პატივცემით გამოვიდოდით, მაგრამ საუბედუროთ აბანოს დაარსებიდან ნომერში სამზედ მეტის შესვლა არ შეიძლება, ეს ასეა არა მარტო ქუთაისში, არამედ ყველგან.

მეორე ბ. „ივერია" თქვენ ამბობთ, რომ „ორი საათი უნდა უცადოთ"! საკვირველია! თქვენ სრულებით არ გცოდნიათ წეს-რიგი. აბანოში კი არა უბრალო სადალაქოშიაც კი უცდიან რიგს. ვინც ადრე მოვა, ის ადრე წავა, ჩვენ არ ვძალუძთ რომ უსათუოდ მოუცადოთქო და არც შეგვიძლია რომ ნომრიდან გამოვაგდოთ ვინმე ან დავანძრევიბით დრომდის. მესამე, უსუფთაობას ვერ გვაკიჟიანებ და სანიტარული მხრით აბანო რაც შეიძლება ძალიან კარგათაა დაცული. მეოთხე, ვითომც აბანოში ნიჩრი ანუ ტაშტი, რომლებიც ჯერედ არ იყოს გამოფენილი. ეგ ხომ სრული სიყალბე არის ნიჩრის მაჩვენებელი ერთის მაგიერ სამ ადგილზედ ... დაკიდებული შეიძლება ბ-ნო „ივერია" ... ხედეთ და ვერ დაინახეთ. ეგ რა ჩვენი დანაშაულობა არის? მეხუთე, ამბობთ ვითომც აბანოში სიმყრალით მოდიოდენ. თქვენ უნდა იცოდეთ რომ არ აქვს უფლება რომელიმე პირს უთხრას აბანოში არ შემოსვიდეთ. ყველა პირს აქვს უფლება რომ აბანო მიიღოს. არც მისი უფლება აქვს მოიჯარადრეს რომ ცოლ-ქმარს დაუშალოს და უთხრას კარში გადით და არც ის უფლება აქვს რომ დედლის მოწმობა მოსთხოვოს.

ამისათვის ვთხოვთ ბ. „ივერიას" რომ თქვენი სიტყვები უკან დაიბრუნოთ და ჩვენ კი ყოველთვის მზათ ვართ და ვეცდებით პატივი ვსცეთ ყველას ჩვენს კლიენტებს, რამდენათაც შესაძლებელი იქნება.

მოიჯარადრენი.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. „**სამშობლო**"





## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. | 25 | წ. |
| „ | — საღამ. — | 8 ს. | 50 | „ |
| ბათომიდან | — დილით — | 12 ს. | 40 | „ |
| „ | — ღამის — | 2 ს. | 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. | 26 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 7 ს. | 00 | „ |
| შორაპნიდან | — დილის — | 9 ს. | 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის — | 11 ს. | — | „ |
| | — ღამის — | 12 ს. | 15 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. | 3 | „ |
| „ | — დილის — | 5 ს. | 55 | „ |
| ფოთისაკენ | — დილით — | 4 ს. | | „ |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 8 ს. | 13 | „ |
| შორაპნისაკენ | — დილით — | 5 ს. | 18 | „ |

**ბებია მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

**ვამზადებ** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. პირობები ხელსაყრელია. პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე—ივანოვის ქ. სახ. ვ ჰილაძის შესავალი გაზ „მეგობრის" რედაქციის ბინიდან.

# ავი სენი.

უდგეთ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. **დი ვეზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიჰყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, მხამვენ მთელს ორგანიზმს საშიში შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

**პრეპარატი ექ. დე-ვეზისა** ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაგანულათ წამლობის დროს. **პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს მხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

**პრეპარატი** ექ. დე ვეზისა სპობს მეწყებს, ჩირქის დენას ყურსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხერხემლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. ხიფარშავის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დევეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის" განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

9—(წლიური)

...-მბეჭდავი სტამბა ალ. კოხრეიძისა

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.